№ 5
შაბათი, 9 იანვარი 1899 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1899

ივერია

ტფილისი

№ 5
შაბათი, 9 იანვარი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარია

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ექიმი ი. ია. გოკიელოვი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ყოველ დღე, დილით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.

კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე. აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.

განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარქაროვისა, სოლოლაკი. (20—185—20)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ნ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1¼—2¼ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ნ. ა. ნავასარდიანი—6½—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ)

მთავრობის განკარგულებანი

ებოძა ოქროს მედალი „გულ-მოდგინეობისათვის“ ზედ წარწერით ამიერ-კავკასიის და იმიერ კასპიის მხრის საქციზო გამგეობის მოხელეს თავ. ნიკოლოზ მიქელაძეს.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან, თავისისავე თხოვნით, ავადმყოფობისა გამო, განჯის გუბერნიის არეშის მაზრის საეროზო დარაჯის დისტანციის უფროსის თანამდებობის ამსრულებელი მილიციის პრაპორშჩიკი იოსებ გედევანიშვილი.

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის მთავარ-მართებელმა გენერალ ადიუტანტმა თავ. გ. ს. გოლიცინმა და იმისმა მეუღლემ კნ. მარიამ თეოდორეს ასულმა შესწირეს 100 მანეთი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.

⁂ ხუთშაბათს, 7 იანვარს, ქართულ თეატრში ქართულ დრამატიულ დასის მიერ, არტისტის ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით ჩვენის თეატრის მხცოვანის არტისტის კ. დ. ყიფიანის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა შექსპირის ტრაგედია „მეფე ლირი“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. საზოგადოება ალტაცებით მიეგება საყვარელ არტისტებს—მობენეფისეს ყიფიანს და ვლ. ალექსი მესხიშვილს. ხალხი იმდენი დაესწრო ამ წარმოდგენას, რომ გასავლელ-გამოსავლელი ადგილიც-კი ალარსად იყო. დაწვრილებით რეცენზიას ამ წარმოდგენის შესახებ შემდეგ დავბეჭდავთ.

⁂ ტფილისის გუბერნატორი თ. ა. ბიკოვი წუხელ, შუაღამეს, კავკავის გზით ტფილისიდგან პეტერბურგს გაემგზავრა.

⁂ ორშაბათს, 11 იანვარს, ქალაქის საბჭოს კრება, სხვათა შორის, განიხილავს ქალაქის მოურავის გ. გ. ევანგულოვის მოხსენებას იმ უთანხმოების შესახებ, რომელიც ქალაქის საქმეებისა გამო ქალაქის მოურავსა და გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვას შორის მომხდარა. ეს წინადადება განხილული იქნება გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვის განცხადებასთან ერთად, რომელიც თხოულობს ნიხრის დამწესებელს კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდგან განმათავისუფლეთო.

⁂ გუშინ ტფილისში ჩამოვიდნენ სამარყანდიდგან ექვსი მკურნალი, რომელნიც სამარყანდს იყვნენ გაგზავნილნი შავის ჭირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

⁂ მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა ამას წინად გამოგზავნა შავის ზღვის ნაპირის გუბერნიასა და სოხუმის ოლქში პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი დ. ნ. ივანოვსკი აქ გავრცელებულ თამბაქოს სენის ეგრედ წოდებულ „ბანგუშის“ ან „მანტორის“ გამოსაკვლევად. ბ-ნ ივანოვსკის აზრით ეს სენი სხვა ცნობილის სენის მაგვარია, რომლის გაჩენის მიზეზნიც ჯერ გამორკვეული არ არისო.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებას გარდაეცა განსახილველად საქმე თავ. კონსტანტინე ციციშვილისა (18 წლისა), რომელსაც ის ბრალი ედება, რომ 1897 წელს 19 დეკემბერს მივიდა იოსებ კემპთან და მოსთხოვა ხელშეკრულება, დადებული ბრალდებულის მამისა და კემპის შორის, სახლის იჯარის შესახებ, ამასთან დაემუქრა, თუ არ მომცემ ხელშეკრულებას, სიცოცხლეს გამოგასალმებო.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა გუშინ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, ეხლავე შეუდექით წარსულ 1898 წლის პოლიციის მოღვაწეობის წლიურ ანგარიშის შედგენასაო.

⁂ ახლად დანიშნულს კავკასიაში საბეითალო ინსპექტორს ნ. კ. რემერს ტფილისში მოელიან 16 იანვარს.

ფელეტონი

მარკ ტვენის წერილები

(გადმობეჭდილია 1904 წლის „ტაიმსის“ გაზეთიდგან)

ჩიკაგო, 1 აპრილს, 1904 წელს.

ვათავებ იმ ამბავს, რომლის მოთხრობა თქვენისავე თხოვნით ტელეფონით დავიწყე გუშინ. ჯერ უნდა მოვიხსენიო ზოგიერთი ის გარემოება, რომელთა გამო ეს ამბავი სამწუხაროდ დამთავრდა. ამ ამბავში მეც მცირე მონაწილეობა მიმიღია. მოხდა ეს ამბავი ვენაში 31 მარტს 1898 წელს. თეატრში ვიყავი და იქიდგან შუაღამისას მე და ინგლისისა, იტალიისა და ამერიკის სამხედრო დესპანნი ყველანი ერთად წავედით ლეიტენანტის ჰილიერის სახლში. იქ შევხვდით ახალგაზდა მეცნიერს შჩეპანიკსა, ძლიერ მდიდარს კაცს ბატონს კ—ს და იმისს მდივანს ბატონს ვ—ს. ცოტა ხანს შემდეგ მოვიდა ამერიკის ჯარის ლეიტენანტი კლეიტონი, ევროპაში საგანგებოდ გამოგზავნილი იმ ამბის გამო, რომელმაც შეერთებულ შტატებსა და ესპანიას შორის ომი გამოიწვია. შჩეპანიკს კარგად ვიცნობდი, კლეიტონი-კი მარტო ერთხელ მენახა ერთის წლის წინად ვესტ-პოინტში, როდესაც იგი ჯერ ისევ კადეტად იყო და გენერალი მერრიტი—ჯარის უფროსად. კლეიტონს მაშინ ნიჭიერის კაცის სახელი ჰქონდა, მაგრამ იმასაც ამბობდნენ, რომ მეტად ფიცხი და ლაპარაკში წინ-დაუხედავი არისო.

სხვათა შორის ჰილიერთან საქმისათვისაც შევიკრიბენით—გვინდოდა გამოგვერკვია, რამდენად გამოსადეგია ახალი მანქანა ტელელექტროსკოპი სამხედრო საქმისათვის. მაშინ არავის ეგონა (თვით ამ მანქანის გამომგონის შჩეპანიკის გარდა), რომ ტელელექტროსკოპი მართლა გამოსადეგი მანქანა აღმოჩნდებოდა. ასე გასინჯეთ, თვით ბატონი კ—ი, რომელიც შჩეპანიკს ფულს აძლევდა მანქანის გაკეთებისთვის, ასე ამბობდა, ეს მანქანა მხოლოდ სასიამოვნო გასართობია, მეტი არაფერიო და მეცხრამეტე საუკუნის დამლევამდე, ესე იგი პარიჟის გამოფენამდე, რომელიც 1900 წელს მოხდა, არავისთვის მიუცია უფლება ამ მანქანის გამართვისა.

დავსხედით ბუხართან, მოვუკიდეთ სიგარებს და კლეიტონმა ცოტა არ იყოს დაცინვით უთხრა შჩეპანიკს.

— თქვენ, რაღა თქმა უნდა, კარგად იცით ჩემი აზრი თქვენის ტელელექტროსკოპის შესახებ.

დიახ, ვიცი, მაგრამ ეგ თქვენი აზრი ჩემთვის სრულებითაც საყურადღებო არ გახლავს,—უპასუხა შჩეპანიკმა.

კლეიტონმა ბატონს კ—ს მიჰმართა და უთხრა:

— არ მესმის, ღმერთმანი, რისთვისა ჰხარჯავთ ფულს მაგ სათამაშოზედ. ჩემის აზრით, ეგ რაღაც ტელელექტროსკოპი ერთის ფარსინგის სარგებლობას არაოდეს არ მოუტანს კაცობრიობას.

— შესაძლებელია, დიახ, შესაძლებელია!—უპასუხა ბატონმა კ—მ. მაგრამ მე არა ვნანობ, რომ ტელელექტროსკოპზე ფულსა ვხარჯავ. ჩემის აზრითაც, ეს ტელელექტროსკოპი კარგი გასართობი სათამაშოა, მაგრამ შჩეპანიკი მაგ აზრისა არ არის და მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ჩემზე უფრო შორს გამჭვრეტია და უფრო კარგად ჰხედავს ყველაფერს, როგორც ტელელექტროსკოპით, ისე უტელელექტროსკოპოდაც.

წყნარისა და დარბაისლურის კილოთი წარმოთქმულმა პასუხმა კლეიტონი კი არ დაამშვიდა, უფრო გააჯავრა. დიდის გულ-მოდგინებით დაიჟინა, რომ ტელელექტროსკოპი ერთ ფარსინგად არა ჰღირსო, „შავ“ ფარსინგადაო, დასძინა ეხლა, მერე ჯიბიდგან ამოიღო შავი ფული, დასდო მაგიდაზე და სთქვა:

— აი ერთი ფარსინგი, ბატონო კ—ვ, შეინახეთ. თუ შჩეპანიკის გამოგონებამ ოდესმე საგრძნობელი სარგებლობა მოუტანოს ვისმე, ეგ ფარსინგი უკან გამომიგზავნეთ და ჩემს სიტყვებს უარსა ვყოფ. კარგი?

— კარგი!—უპასუხა ბატონმა კ—მ და ფარსინგი ჯიბეში ჩაიდო.

შემდეგ კლეიტონი ისევ შჩეპანიკს აუხირდა და დაცინვა დაუწყო, მაგრამ შჩეპანიკმა შეუტია და ხელიც გამოიღო. გაიმართა მუშტის კრივი, მაგრამ იქ მყოფმა აფიცრებმა გააშველეს მოკრივენი.

ეხლა საქმე ჩიკაგოში სწარმოებს. 1901 წლის შემოდგომა გახლავთ. პარიჟის გამოფენის შემდეგ ტელელექტროსკოპი ყველგან გაიმართა და ამ მანქანის შემწეობით ყველა ადამიანს და ყოველ წამს შეეძლო გაეგონა და დაენახა, რა ხდებოდა დედამიწის ზურგის დანარჩენ ადგილებში.

შჩეპანიკი რაღაც საქმისათვის ჩიკაგოს მოვიდა და აქ შეჰხვდა კლეიტონს (უკვე კაპიტანს), რომელიც სწორედ ჩიკაგოს სამხედრო ოლქში მსახურებდა. ვენაში დაბადებულმა მტრობამ კვლავ თავი იჩინა. სამჯერ შეხვდნენ მტრები ერთმანერთს და სამჯერვე მუშტი-კრივს ცოტა-ღა დააკლდა. შემდეგ შჩეპანიკი უეცრად სადღაც გაჰქრა. გავიდა ორი თვე და არავინ იცოდა, ცამ ჩაჰყლაპა შჩეპანიკი, თუ დედამიწამ. შჩეპანიკის ნაცნობნი ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას. ბოლოს გადასწყვიტეს, ისე წასულა უეცრად ევროპაში, რომ არავისათვის არა უთქვამს რაო. ასეთი ზნე ბევრს მეცნიერსა და საზოგადოდ პოეტებსაც სჭირთ, ხშირად იციან ფიქრისა და განზრახვის შეცვლაო.

აი სწორედ ეხლა მოხდა ტრაგედია. ოცს დეკემბერს კლეიტონის ერთი მოსამსახურე დედაკაცი იმ სახლში, რომელშიაც კლეიტონი იდგა, ერთის სარდაფის კუთხეში ადამიანის გვამს წააწყდა. გამომძიებლებმა გასინჯეს და დაამტკიცეს, რომ გვამი იგი იყო შჩეპანიკისა, რომელიც ძალით იქმნა მოკლულიო. კლეიტონი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს. შჩეპანიკის მოკვლა ჰბრალდებოდა. ისეთი საბუთები აღმოჩნდა, კლეიტონის დანაშაულობის დამამტკიცებელი, რომ თვით კლეიტონიც-კი ამბობდა, არაფერი მეთქმის მაგ საბუთებზეო, თუმცა ხატსა და სჯულს ჰფიცულობდა, უდანაშაულო ვარ, კაცი არ მომიკლავსო.

რაღა თქმა უნდა, გეხსომებათ, რომ კლეიტონს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. კლეიტონის მეგობრები დარწმუნებულნი იყვნენ, დამნაშავე არ არისო და სცდილობდნენ დაეხსნათ როგორმე სიკვდილისაგან. თვით მეც ვსცდილობდი დახმარებას, ვინაიდგან დიდი ხანია შემიყვარდა კლეიტონი და დარწმუნებული ვიყავ, რომ ადამიანს ვერ მოჰკლავდა. 1902 და 1903 წლებში შტატის გუბერნატორმა რამდენჯერმე გადასდო კლეიტონის სასჯელი. შტატის გუბერნატორს ეს უფლება კონსტიტუციის ძალითა აქვს მინიჭებული. ამა წლის 31 მარტს კიდევ ერთხელ გადაიდვა კლეიტონის სასჯელისასრულება.

უნდა მოგახსენოთ, რომ გუბერნატორის საქმე ამ ჟამად ცოტა არ იყოს საჩოთირო გახლდათ, ვინაიდგან კლეიტონის ცოლი დისწული იყო გუბერნატორისა. კლეიტონმა ცოლი შეირთო 1899 წელს. ამ ჟამად თითონ ოცდათოთხმეტის წლისა იყო და ცოლი-კი ოცდაორისა ძლივს შესრულდა. შვილიცა ჰყავდათ, სამის წლის ლამაზი გოგონა. სასჯელის გადადებით უკმაყოფილო ხალხს კიდევ კლეიტონისა

⁂ ტფილისის გუბერნიის საერობო ზეითალს მაგისტრს ბ-ნ ვიჩას კავკასიაში სამსახურისთვის თავი დაუნებებია.

⁂ კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგეობას შეუდგენია და წარუდგენია კავკასიის უმაღლეს მთავრობისათვის დასამტკიცებლად ხარჯთაღრიცხვა 1899 წლისათვის ტფილისის მიხეილის საავადმყოფოსი, სულით-ავადმყოფთა განყოფილებისა, საფერშლო სკოლისა და მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარისა. ამ ხარჯთაღრიცხვით მიხეილის საავადმყოფოს შენახვას დასჭირდება—93,668 მ., სულით-ავადმყოფთა განყოფილებას—28,943 მ. 77 კ., საფერშლო სკოლას—10,714 მ., და მიგდებულ ბავშვთა თავშესაფარს—16,551 მან. 11 კაპ. სულ 149,876 მან. 88 კაპ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ბათუმის ქალაქის საბჭომ ამას წინად გარდასწყვიტა ახლად დაარსებულ გიმნაზიისთვის საკუთარი შენობა აგოს. საბჭომ კომისიაც კი აარჩია გიმნაზიისთვის შესაფერის ადგილის მოსაძებნად. როგორც ეხლა „ახ. მ.“-ს სწერენ, 4 იანვარს სხდომაზედ, ქალაქის საბჭომ მოისმინა ამ კომისიის მოხსენება, რომელშიაც იგი ამბობს, რომ სადგომი იმ ადგილას უნდა აშენდეს, სადაც გიმნაზია ამ ჟამად არისო. საბჭომ არ შეიწყნარა ეს წინადადება და ახალი კომისია აარჩია ადგილის მოსაძებნად. ახალმა კომისიამ თვისი მოსაზრებანი 18 იანვარს უნდა წარუდგინოს საბჭოს. ამავე სხდომაზედ საბჭომ მოისმინა ხმოსანის დუმბაძის მოხსენება ქ. ბათუმში დედათა გიმნაზიის დაარსების შესახებ. როგორც ვუწყით, წინად საბჭომ გარდასწყვიტა მარიინის დედათა სასწავლებელი გადაეკეთოს დედათა გიმნაზიად, მაგრამ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ეს არ შეუწყნარებია და წინადადება მიუცია საბჭოსთვის,—იშუამდგომლოს ახალის გიმნაზიის დაარსების შესახებაო.

⁂ „ახ. მიმ.“-სვე სწერენ ქუთაისიდგან, რომ 23 დეკემბერს აქ გარდაიცვალა ბერძნის ცოლი ელენე კონდოპულო, რომელსაც მთელი თავის ქონება, დაფასებული 50 ათას მანეთად, ანდერძით ქალაქისთვის შეუწირავს, იმ პირობით, რომ ეს ფული საქველ-მოქმედო საქმეებსა და ქალაქის საჭიროებას მოხმარდესო.

3 იანვარს, იმავე კორესპონდენტის სიტყვით, ქუთაისში ადგილობრივ პოლიციის გამგეობის პირდაპირ, თუმანიშვილის სახლში უნახავთ მოკლულის კაცის გვამი. გამოძიებას აღმოუჩენია, რომ მოკლული ახალციხის მაზრის მცხოვრებელი მოლლა ომარ-სულეიმან-ოღლი ყოფილა. იმავე დღეს პოლიციას შეუპყრია ვიღაც გამაზოვი და ტერ-პოღოზოვი, რომლებზედაც ეჭვი შეუტანიათ. ოთხი სხვა კაცი, მათი ამხანაგები, ქუთაისიდგან სადღაც წასულან.

⁂ უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება ამ დღეებში შეუდგება საკუთარის შენობის აგებას ავლაბარში. 7 იანვარს სამზრუნველოს საბჭომ სთხოვა ქალაქის გამგეობას გაგზავნილ იქმნას ტეხნიკოსი შეძენილის მიწის საზღვრების აღსანიშნავად. ამასთან საბჭომ წარუდგინა გამგეობას დასამტკიცებლად შენობის გეგმაც.

⁂ როგორც „Торг.-пр. Газ.“-ა იუწყება, მთავრობამ ნება დართო დაარსებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში ბამბის საკეთებელი ქარხანა. ქარხანას აარსებს ახალი საზოგადოება, რომელსაც სახელად ეწოდება „ამიერ-კავკასიის სამანუფაქტურო საქციონერო საზოგადოება.“ ძირის თანხად საზოგადოებას 1,500,000 მანეთი ექმნება. საზოგადოების დამაარსებელნი არიან: ა. ი. მანთაშევი, სავაჭრო სახლნი „ძმ. თუმანიანცნი“, „ძმ. ს. ხ. და ა. კევორკოვები“ და პ. ო. ა. და მ. ავეტისიანები და მოქალაქე ს. მ. ვოსკანიანი.

⁂ გაზეთების სიტყვით, მოსკოვის უნივერსიტეტში განთავისუფლდა ერთი სტიპენდია, რომელიც კავკასიელ სტუდენტს უნდა მიეცეს.

⁂ „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ გარდასწყვიტა დაარსოს წელს ამიერ-კავკასიასა და თურქესტანში მეღვინეობის რამდენიმე სასწავლებელიო.

⁂ როგორც „ტფ. ფ.“-სა სწერენ, მომავალ თებერვალს სახელმწიფო საბჭოს წარუდგენენ განსახილველად პროექტს ტფილისში ამიერ-კავკასიის საგლეხო ბანკის დაარსების შესახებ. ბანკს აზრად ის ექმნება, რომ გლეხებს დახმარება აღმოუჩინოს მიწების შეძენის დროს.

⁂ ტფილისის ქალაქის გამგეობას, „ტფ. ფ.“-ს სიტყვით, შეუწყნარებია სამეურნეო საზოგადოების თხოვნა, სასეურნეო იარაღის საწყობის გასამართავად ალექსანდრეს ბაღში ადგილის დათმობის შესახებ. ამ საქმის შესახებ გამგეობა მოხსენებას წარუდგენს საბჭოს.

⁂ გაზეთ „კავკას“-ს შემდეგ ამბებს ატყობინებენ დეპეშით პეტერბურგიდგან:

ამიერ-კავკასიის რკინის გზის ბაკურიანის შტო დაუჯდება ხაზინას 2 მილიონ მანეთად.

გადაწყვეტილია, რომ ჭიათურის შტო სოფ. დარკვეთამდე გაიყვანონ. ამისათვის გადადებულ იქმნა 200,000 მანეთზედ მეტი. შტოს წელსვე გაიყვანენ.

გუმბრ-ერევნის შტოს გაყვანას შეუდგებიან გაზაფხულზედ.

⁂ ტფილისის სამუსიკო სასწავლებელს ამა მდგომარე 1899 წელს სახელმწიფო ხაზინიდგან მიეცემა 5 ათასი მანეთი.

⁂ „ახ. მიმ.“-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ კავკასიის ჯართა კორპუსის ზეითალი ლისიცინი დანიშნულ იქმნა კავკასიის სამხედრო ოლქის სიოლქო ზეითალად.

⁂ ამ დღეებში დაიბეჭდა მიწადმოქმედების მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით წიგნაკი „ზეთის ხილის მოშენება“—ა. ხ. როლლოვისა. წიგნაკში მრავალი საინტერესო და საყურადღებო ცნობებია იმათთვის, ვინც ამ მცენარის მოყვანა-მოშენებას მისდევს. წიგნს სურათებიცა აქვს დართული, თვით წიგნი იმ აზრით არის გამოცემული, რომ გააგებინოს და გააცნოს ამიერ-კავკასიის იმ კუთხეების მცხოვრებლებს, სადაც ზეთის ხილი ხეირობს, ამ მცენარეს როგორ უნდა მოვლა და მოშენება. მეტად საჭიროა ეს წიგნი ქართულად გადმოითარგმნოს და დაიბეჭდოს.

⁂ როგორც ოფიციალურის ცნობებიდგან სჩანს, ამ უკანასკნელ კვირას ტფილისში ყვავილით ავად გამხდარა სულ 20 კაცი.

⁂ პროკურორმა ფ. კ. გეიმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება მისცენ წყლურეთში ან დიდუბეში აფთიაქი გახსნას.

⁂ როგორც რუსულ გაზეთებს სწერენ, სიღნაღის მაზრაში ყვავილი გაჩენილა. ამ სენით უკვე ოთხი ბავშვი გამხდარა ავად.

⁂ „Черн. Вѣст.“ ის სიტყვით, აზრად აქვთ ბათუმში დააარსონ საკომერციო კლუბი.

⁂ 6 იანვარს, რკინის გზის „ტფილისის“ სადგურის მახლობლად, იქ, სადაც „Свѣтъ“-ის ამხანაგობის ნავთის საწყობებია, ცეცხლი წაეკიდა ნავთით გაჟღენთილ ხიდს. ცეცხლი ბავშვებმა გააჩინეს, რომელნიც ხიდზედ თამაშობდნენ. ცეცხლი ძალიან გაძლიერდებოდა, ახლო-მახლო მცხოვრებელნი რომ დროზედ არ შეკრებილიყვნენ და არ ჩაექროთ.

⁂ 6 იანვარს, მუხრანის ქუჩაზედ, ქალაქის სამკურნალოს მახლობლად შემდეგი ჩხუბი მოხდა. საღამოს ექვს საათზედ სხირტლაძის თორნესთან მივიდა ეტლით ხანჯლებით შეიარაღებული ოთხი ვიღაც იმერელი. ერთი იმერელი გადახტა ეტლიდგან, შეუვარდა სხირტლაძეს დუქანში და ხანჯლით თავში დასჭრა. ეს რომ იქვე მყოფმა სხირტლაძის ძმამ დაინახა, წამოავლო კეტს ხელი და დასთხლიშა თავში იმერელს. შემდეგ ამ უკანასკნელს ეტლში მსხდომნიც მიეშველნენ და დაუწყეს ერთმანეთს ჩეხაქლეტა. შეკრებილმა ხალხმა მოიწადინა მოჩხუბრების გაშველება, მაგრამ ვერ მოახერხა. ბოლოს პოლიციამ როგორც იქმნა მოჩხუბარნი შეიპყრო და პოლიციაში გაგზავნა. ჩხუბის დროს ოთხი კაცი და ერთი ქალი დაშავდა.

* * *

და ბავშვის სიბრალული აჩუმებდა, მაგრამ ამ სასჯელის გადადება მეორედ მოსვლამდე ხომ არ შეიძლებოდა. გუბერნატორის წინააღმდეგ ლაპარაკი დაიწყეს. ჰკიცხავდნენ, პირადის სარგებლობის გულისათვის მართლ-მსაჯულებას ხელს უშლისო. ხალხის უკმაყოფილებამ იქამდე მიახწია, რომ გუბერნატორს მეგობრებმაც-კი დაუწყეს რჩევა-დარიგება, შენს წმინდა მოვალეობას არ უმტყუნიო. სწორედ ორ ცეცხლს შუა იყო გუბერნატორი: ერთის მხრივ დის-წულის მწუხარება და კლეიტონის ოჯახის სიბრალული და მეორე მხრით—სამსახური და მოვალეობა. ბოლოს მოვალეობამ დასძლია. გუბერნატორმა სთქვა, სასჯელს აღარ გადავსდებო. ეს სწორედ ამ ორის კვირის წინად იყო. თვით კლეიტონის ცოლმაც ველარ უსაყვედურა ბიძას.

— რაკი ერთხელა სთქვით აღარ გადავდებ სასჯელსაო,—უთხრა გუბერნატორს დისწულმა, სჩანს ყოველივე იმედი უნდა გადავიწყვიტო. კარგად ვიცი, რომ თქვენ სიტყვას არ გადახვალთ. ვიცი ისიც, რომ ჯონის გულისათვის არაფერი დაიშურეთ და ამიტომ ვერ გისაყვედურებთ. თქვენ ორთავენი გიყვარდით და დარწმუნებულიც ვარ, თუ შეგძლებოდათ, ჩემს ქმარს სიკვდილისაგან დაიხსნიდით. ეხლა წავალ ჩემს ქმართან და ვეცდები რაც-კი შეიძლება უკეთ გავატარებინო სიცოცხლის უკანასკნელნი დღენი.

გთხოვთ, დასჯის წინა დღეს მარტონი არ დაგვტოვოთ. არ დამტოვებთ განა განსაცდელის დროს....

— დამშვიდდი, ჩემო კარგო, უკანასკნელ წუთამდე არ დაგტოვებთ უნუგეშოდ, უთხრა გუბერნატორმა და გული ამოუჯდა.

გუბერნატორის ბრძანებით კლეიტონი გადაიყვანეს საპატიმროდგან ზედამხედველის სადგურში, სადაც კლეიტონთან ერთად იყვნენ ცოლი და ბავშვი. რაც-კი შესაძლებელი იყო, ყოველივე შეღავათი მიანიჭეს კლეიტონს, მაგრამ იგი ვერაფერმა ვერ აიყოლია, გარდა სიკვდილის ფიქრისა. მოინდომა ტელელექტროსკოპის მანქანით გაერთო გული და ნებაც მისცეს. მთელ დღეს შესცქეროდა კლეიტონი დედამიწის ზურგის სხვა და სხვა ადგილებს. თურმე იმ მანქანის შემწეობით, რომლის სარგებლობას ოდესმე უარჰყოფდა კლეიტონი, თვით პატიმარი ფრინველსავით თავისუფალი შეიქმნებოდა ხოლმე. იშვიათად გველაპარაკებოდა და ჩვენც არ უშლიდით ხელს დამტკბარიყო ამ სიამოვნებით. მე ვიჯექი ხოლმე იმავე ოთახში, ხან წიგნსა ვკითხულობდი, ხან სიგარას შევექცეოდი. მესმოდა, კლეიტონი რომ ხან იედოს წამოიძახებდა, ხან მელბურნს, ხან პეტერბურგს. ხან-და-ხან ისეთი საყურადღებო ლაპარაკი მოისმოდა ტელელექტროსკოპის მანქანიდგან, რომ მეც სმენად გადავიქცეოდი ხოლმე. საზოგადოდ კლეიტონის სიცოცხლის უკანასკნელნი დღენი ჩვენთვის მშვიდობიანად მიდიოდა და შეიძლება ვსთქვათ სასიამოვნოდაც.

გუშინ (გუშინ რომ ვამბობ, თქვენი ქვეყანა მაქვს სახეში, თორემ აქ ეს გუშინ-წინ გახლდათ) ტელელექტროსკოპის მანქანასთან არც ერთი არ მივსულვართ, ვინაიდგან ეს უკანასკნელი დღე იყო კლეიტონის სიცოცხლისა. ცოლი და შვილი კლეიტონისა, გუბერნატორი და მე ერთის წუთით არ მოვშორებივართ კლეიტონს. მეტად სამწუხარო წამები დადგა. ღამის ასე თერთმეტ საათზე (სასჯელი დანიშნული იყო დილის 4 საათზე) საპატიმროს ეზოდგან მოისმა ცულის ხმა; კლეიტონის ბავშვმა მიირბინა ფანჯარასთან და წამოიძახა:

— დედი, დედი, შეხედე, რა ლამაზ კიბეს აკეთებენ იქა!

სარჩობელა გახლდათ.

მისტრისს კლეიტონს გული შეუღონდა და გუბერნატორმა შინ წაიყვანა. დავრჩით მარტონი მე და კლეიტონი. ღამე მეტად ბნელი და სუსხიანი იყო. ქარი ისე ძლიერად ჰქროდა, რომ ფანჯრების მინებს ზანზარი გაჰქონდა. ხან-და-ხან მოდიოდა ცულის ხმა, მერე კოშკის საათის ზარის ხმა გაისმა... თორმეტი დაჰკრა... მერე ისე დიდხანს შემდეგ, თითქო საათი წელიწადათ გაიჭიმაო, დაჰკრა ერთი, ორი, სამი... ორთავენი შევკრთით: კლეიტონს სამოცის წუთის სიცოცხლე-ღა დარჩა...

კლეიტონი წამოდგა, მივიდა ფანჯარასთან, დააკვირდა წყვდიადს, თითქოს უნდოდა დაენახა რამ... და ქარის ზუზუნს დაუგდო ყური.

— დიახ, — სთქვა ბოლოს, — უკანასკნელი ღამე ამ წუთისოფელში სწორედ ასეთი უნდა იყოს...

— მაგრამ მე მსურს მზე დავინახო!—წამოიძახა უეცრად კლეიტონმა. კიდევ ერთხელ და უკანასკნელად უნდა ვნახო მზე!

ამ სიტყვებით კლეიტონი მიიჭრა ტელელექტროსკოპის მანქანასთან და დაიყვირა:

— ჩინეთი! მომეცით ჩინეთი! პეკინი!

სწორედ გითხრათ სული შემეხუთა, როდესაც ვიფიქრე, რომ ადამიანს ასეთი სასწაულთ-მოქმედება შეუძლიან: ზამთარი ზაფხულად გადააქციოს, ღამე—დღედ, ქარიშხალი მშვენიერ დარად და სრული თავისუფლება მისცეს პატიმარსაც-კი მთელს ქვეყანას თვალი გადაავლოს, იმ პატიმარსა, რომელიც რამდენსამე წუთის შემდეგ უნდა გამოესალმოს სიცოცხლეს.

მეც ყური დავუგდე.

— რა სინათლეა! რა საუცხოვო სანახავია! პეკინია ეგა?

— დიახ, პეკინია!

— რა დროა?

— შუადღეა.

— ეგ რა აუარებელი ხალხია სადღესასწაულო ტანთსაცმელით? დღესასწაული რამ არის, თუ რა ამბავია?

— ჩვენის ახალის იმპერატორის გვირგვინის კურთხევა გახლავთ.

— მგონია, იმპერატორის გვირგვინის კურთხევა გუშინ უნდა მომხდარიყო?

— თქვენთვის ეს გუშინ არის.

— მართალია .. ეგ ველარ მოვიფიქრე. ზოგიერთ მიზეზებისა გამო, ცოტა არ იყოს, სრულ გონებაზე არ ვარ...

— ეხლა დაიწყო დღესასწაული?

— არა. ერთი საათიც არის მას შემდეგ.

— მალე გათავდება?

— ორის საათის შემდეგ. რას ამოიოხრეთ?

— ისე, მსურდა დღესასწაულის დასასრული მენახა.

— მერე რა გიშლით?

— ეხლავ უნდა გავემგზავრო...

— საქმე გაქვთ რამე?

— დიახ, საქმე...

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კვლავ იკითხა კლეიტონმა:

— ვინ არიან ისინი, აი იმ ფარდულში მყოფნი?

— იმპერატორის ოჯახობა და სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

— ფარდულის ორსავე მხრის შენობებში?

— მარჯვნივ სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა დესპანნი არიან თავიანთის ოჯახობით და მარცხნივ—წარჩინებულნი უცხოელნი.

— გეთაყვა, თუ შეიძლებოდეს...

საათმა ოთხის ნახევარი დაჰკრა... კარი გაიღო და შემოვიდნენ გუბერნატორი კლეიტონის ცოლითა და ასულით. კლეიტონის ცოლსა და ბავშვს სამგლოვიარო ტანთ-საცმელი ეცვათ. კლეიტონის ცოლი ქვითინით მოეხვია ქმარს. მე ველარ გავუძელი ამ სურათს, გავიჭერ საწოლ ოთახში და კარი ჩავიკეტე. დიდხანს ვიყავი იქა, თითქოს მთელ საუკუნეს, და ყურს ვუგდებდი ქარის ზუზუნს. ბოლოს ფეხის ხმა მომესმა და ლა-

ახალი საქვეყნო საქმე

ჩვენი მწერლობა დიდი ხანია აქცევდა თავისს ყურადღებას, რაგვარ გაუწიოს ბრძოლა ჩარჩობას, უალაგო შუამავლობას, კაპიტალის ბატონობას. მესამოცე წლებიდგანვე, რომელიც ასრე ამოთვალწუნებული აქვთ ზოგიერთ ჩვენს მწერლებს, იწყება მწერლობით ქადაგება ამ საქმისა, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდს ხანს ეს ქადაგება ვერ იდგამდა ფესვსა და ვერ იკიდებდა ფეხს, ანუ უკეთა ვთქვათ, არა სჩანდნენ საქმის დამწყობნი. ჩარჩნი და შუამავალნი მრავლდებოდნენ და მდიდრდებოდნენ, მწარმოებელნი რჩებოდნენ, ისევ თავისს განწირულს მდგომარეობაში: ისინი შრომობდნენ, ოფლსა ჰღვრიდნენ, ჯანსა და ღონეს იწყვეტავდნენ და მათი შრომითა და ოფლით კეთდებოდნენ სხვები, ვინც მხოლოდ შუამავლობდნენ მწარმოებელთა და მომხმარეთა შუა. მართალია, ჩვენი მწერლობა არ არის ძლიერი, გათახსირებულია დიდკაცობისა და განათლებულთაგან(?) მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდა და საქებურად ჩვენი მწერლობისა უნდა ითქვას, რომ იმან მოიპოვა საფუძველი და გაიდგა ფესვი იქ, სადაც უფრო საჭირო იყო და სადაც უნდა უთუოდ შეეტანა თავისი მეცადინეობა: იმან გაადგა ფესვი მდაბიო მწიგნობართა გულსა და გონებაში და აღძრა იქ მოძრაობა, მოფიქრება, როგორ ეპატრონოს ქვეყანას, როგორ უპატრონონ დაჩაგრულთა თავისს თავს. იწყება შერდგენა გამცემ-მსესხებელთა ამხანაგობათა, მომხმარებელ-ამხანაგობათა, მეაბრეშუმეთა და სხვა ამ გვარები და აი ამ ბოლოს დროს სდგება ტფილისში ამხანაგობა ხელოსანთა, სახელწოდებით „შრომა“, რომლისაც აზრი და განზრახვა იხატება წესდების პირველსავე მუხლში, სადაც არის ნათქვამი: ,,ამხანაგობა არსდება მისთვის, რომ მშრომელმა ხელოსანმა თავისს სამართლიანს შრომაში მიიღოს კუთვნილი სარგებლობა; ყოველი მშრომელი ხელოსანი ამხანაგობისა უნდა გახდეს თავისის შრომის პატრონი, მას უნდა ეკუთვნოდეს თავისის ხელით ნაწარმოებში თავნიცა და მოგებაც, რომ მით მან გაიადვილოს ცხოვრება და გაიუმჯობესოს ხელოსნობა შეერთებულის ძალით, შრომითა და სამართლიანის საქმის წარმოებით. აგრეთვე უნდა სარგებლობდეს მუშტარი, როგორც კარგი ნაკეთობა საქმით, ისრე სიიაფით''.

დიახ, დგება ამხანაგობა მშრომელთა, რომლისაც თავისს წმინდა დროშაზედ დაუწერია: ნაშრომი მშრომელთ და შორს ჩვენგან ჩარჩნი და ჩრჩილნი მწარმოებელთა და მომხმარებელთაო!

დიახ, ეს არის დევიზი დღეს მთელის განათლებული ქვეყნების დაწინაურებული საზოგადოებისა, დღეს ამისთვის იბრძვის მეცნიერება, ამისთვის სწირავენ თავს საუკეთესო ქვეყნის მოყვარულნი განვითარებულნი კაცნი, ამისთვის სდგებიან ათასნი ამხანაგობანი, საზოგადოებანი, ამგვარი საზოგადოებებით მოიფინა მთელი გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი და სხვა განათლებული და დაწინაურებული ქვეყნები, და აი ჩვენშიაც უბრალო მდაბიო ხელოსანთ შეიგნეს ეს, შეუდგნენ გაბედვით საქმეს, იწყეს საქმის წარმოება, აღმართეს დროშა თავისუფალი შრომისა, და უნდა გაჩვენა, მკითხველო, ეს სახელოსნო, რა გულდადებით, რა ხალისით, რა ერთგულებით შეუჩილან აქ მშრომელნი და აწარმოებენ საქმეს! უნდა გაჩვენა, რა მშვენიერი და მკვიდრი ხელობის ნაწარმოებნი აქვთ გამზადებულნი, და რა გატაცებით შესდგომიან ამ ახალს კეთილს საქმეს...

მაგრამ რა! შესძლებს ეს მუჭა, იდეისთვის თავგანწირვით მებრძოლი ჯგუფა ამხანაგობისა ბრძოლას ჩარჩობასთან იმ მცირე სახსარით, რომლითაც ის შესდგომია საქმეს? ჩარჩობა შეჭურვილია ყოველი საჭირო იარაღით, რომ არ ასეიროს ამგვარი დაწყობილობა და ჩაკლას დაბადებისთანავე ეს ჯგუფა პიონერთა და თავგანწირულთა პირთა საზოგადო კეთილდღეობისთვის: იმასა აქვს ფული, აქვს ბინადრობა, აქვს საწყობები, აქვს ეხტიბარი, ჰყავს შეკვეთილი მუშტარი, აქვს კრედიტი,—ერთის სიტყვით, აქვს ყოველი ძალა, რომ ყოველს ამგვარს დაწყობილებას მოუღოს ბოლო, თუ არ მიეშველა ამ საქმეს საზოგადოება, არ დაეხმარა ინტელიგენცია, არ მიაწოდინა ხელი მუშტარმა, რომლისაც მოგება სხვათა შორის აქვს აზრად ამ ამხანაგობას.

მაგრამ, განა გვხედავთ ამას ჩვენში?! ჩვენ, რომელნიც პირად თუ კალმით ვქადაგებდით ბრძოლას ჩარჩების წინააღმდეგ, ვქადაგებდით შრომის განთავისუფლებას კაპიტალისაგან, აქ ვპოვებდით სამშობლოს საბოლოოს პატრონობასა და ხსნას,—ეხლა, როდესაც სწორეთ იმ საქმემ, იმ დევიზით წამოჰყო თავი, რასაც ჩვენ ვქადაგებდით და ვნატრობდით, გაჩუმებულვართ ამ საქმეზედ და არამც თუ საქმით, უბრალო კალმის მოსმითაც არ ვეხმარებით.

დღეს, როდესაც საუკეთესო გონების კაცთა სანატრელს საზოგადო საქმეს შესდგომიან რამდენიმე მხნე და თავგანწირულნი კაცნი,—ნუთუ არ გვმართებს ყველას საერთოდ ამ საქმის დახმარება ყოველი ჩვენი გონით, ჩვენი მეცადინეობით, ხელის შეწყობით, ჩვენი სახსრით და ამითი გამხნევება ამ მშრომელთა და მოღვაწეთა, საქმის მკვიდრათ ფეხზედ დაყენება, რომ ერთი და ერთი მოიკიდოს თავისუფალმა შრომამ მკვიდრათ ფეხი, არ დარჩეს სამუდამოდ ტყვედ ჩარჩებისა და კაპიტალისტების ხელში, რომ ამ დაწყობილის საქმით გამხნევებულთ იწყონ სხვა მშრომელთა და მწარმოებელთაც იმგვარათ საქმე, რომ მათივე შრომა მათ ეკუთვნოდეთ, რომ ნაყოფი მათის შრომისა არ მიდიოდეს სხვების ხელთა, რომ არ ელეოდეს მშრომელს ჯანი და ღონე დაუსრულებელს შრომაში და მუდამ სიმშილსა და უშვერებაში, რომ შეეძლოს თავისი ჯანის შენახვა, შთამომავლობისა წესრიგზედ აღზრდა, ჯანისა, ღონისა და გონის აღორძინება თავისს მემკვიდრეებსა და მით მთელს თავისს ქვეყანაშიაც?!. ქვეყნის ბედნიერება არის დამოკიდებული მშრომელთა ჯანსა, ღონესა და გონზედ და ვაი იმ ქვეყანას, ვაი იმ ხალხს, სადაც მშრომელი ხალხი უძლურდება დაუსრულებელს და დამაუძლურებელს შრომაში! მათი ბოლოც ის არის, რაც იმ ხალხთა, რომელნიც აღგვილან პირისაგან ყოვლისა ქვეყნისა და რომელთაც არა სცოდნიათ ეს, არა ჰქონიათ უდრო მუშა, მშრომელის ხალხისა...

იმედია, ჩვენი საზოგადოება არ დარჩება ყრუ ამ ახლად დაწყებულის კეთილისა და დიდის საქმისას: მიაწვდის ხელს, გაამხნევებს და წაახალისებს სხვებსაც და მით შეუწყობს ხელს ამ დიდს საქმეს *).

ანტონ ფურცელაძე

---

*) ვისაც უნდა გაიგოს ვითარება ამხანაგობისა „შრომა“, უნდა იკითხოს იგი მადათოვის კუნძულზედ, კუკიის ორთა ხიდთა შუა, მუხრან-ბატონის სახლში. პაის ფული არის 25 მანეთი ერთბაშად შესატანი. მსურველთ შეუძლიანთ აიღონ რამდენიმე პაიც. პაის ფულის შეტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც. ავტ.

რუსეთი

გზათა უწყების ინჟინერთა ინსტიტუტში დაარსებულ იქმნა ხუთ სტიპენდია. ეს სტიპენდიები მიეცემათ გზათა უწყებაში მოსამსახურეთა და იმათ მახლობელ ნათესავთა შვილებს.

— ამა მდგომარე 1899 წლისათვის საერო განათლების სამინისტროს ბიუჯეტი 2 მილიონ მანეთით იქმნა გადიდებული; აქედგან 500,000 მანეთი პირველ-დაწყებითის განათლებას უნდა მოხმარდეს. ამ ფულიდგანვე გადადებულ იქმნა კარგა დიდი თანხა იმ ყმაწვილ-კაცთა საზღვარ-გარეთ გასაგზავნათ, რომელნიც საპროფესოროდ ემზადებიან.

— „С. От.“-ს სიტყვით, ფინანსთა სამინისტროსათვის მრავალ ქარხნისა და ფაბრიკის პატრონს მიუმართავს და უთხოვნია,—ნება მოგვეცით ჩვენი ქარხნები საზღვარ-გარეთიდგან რუსეთში გადმოვიტანოთ და აქ შევუდგეთ მრეწველობასაო.

— გაზეთების სიტყვით, ოდესაში აზრადა აქვთ დააარსონ თავ-შესაფარი იმ მოხუცებულ და შეუძლებელ კაცთათვის, რომელთაც სამწერლო ასპარეზზედ უმოღვაწიათ.

— გაზ. „Кур.“ იუწყება, რომ საერო განათლების სამინისტროს სამოსწავლო კომიტეტი უკვე შეუდგა ესრეთ წოდებულ სახალხო უნივერსიტეტის პროგრამის განხილვასაო. აზრადა აქვთ ლექციების კითხვა ამ წლის იანვარშივე დაიწყონ.

— როგორც „С. От.“-ა იუწყება, ამ წლის იანვრიდგან ზოგიერთ ეპარქიებში დაარსებული იქმნება ურთ-

---

პარაკი. მივხვდი, რომ შერიფი მოვიდა, მღვდელი და ჯარის კაცნი. ცოტა ხანს შემდეგ გაისმა ლოცვა, მერე საზარელი ტირილი, ხალხის ფეხის ხმა და ბავშვის მხიარული ლაპარაკი:

— ეხლა რაღას სტირი, დედილო, ხომ ჰხედავ, მამა ჩვენთან მოდის, სახლში!

კარი მიხურეს და სიჩუმე ჩამოვარდა. შემრცხვა. მე ერთად-ერთი მეგობარი ვიყავ აქ კლეიტონისა და იმდენი სიმხნევე არა მქონდა, რომ სარჩობელამდე მიმეცილებინა. თავს დავძლიე, გავედი სასტუმრო ოთახში და იქიდგან საპატიმროს ეზოში უნდა ჩავსულიყავ, მაგრამ... კაცი თავისს თავს ვერ გადაახტება... იმის მაგიერად, რომ ეზოში ჩავსულიყავ, ფანჯარასთან მივედი. ეზოს ეხლა ელექტრონის ფარნები ანათებდა. დავინახე ოფიციალურნი წარმომადგენელნი; მისტრის კლეიტონი თითქმის გულ-წასული მოჰხვეოდა ბიძას; კლეიტონი სარჩობელაზე იდგა, ხელებ შეკრული, ყელზე თოკგადაგდებული, თავზე ბლონდ-მოხვეული; შერიფი კლეიტონთან იდგა და თოკის წვერი ეჭირა ხელში; მღვდელი გარკვევით კითხულობდა ლოცვას:

„მე ვარ აღდგომა და ცხოვრება“...

პირი მოვარიდე. აღარ შემეძლო არც დანახვა ამ სურათისა, არც რისამე გაგონება. არ ვიცოდი, რა მექნა, სად გავქცეულიყავ. სრულიად უნებურად ჩავიხედე ტელელექტროსკოპის მანქანაში და დავინახე იმპერატორის გვირგვინის კურთხევის დღესასწაული. ერთის წუთის შემდეგ სული შემეხუთა აღელვებისაგან, მინდოდა ხმა ამომეღო, მაგრამ ენა ჩამივარდა...

მღვდელი ლოცვას ათავებდა.

,,და შეიწყალოს უფალმა სული მისი. ამინ“.

შერიფმა ბლონდი გადააფარა კლეიტონს და ჯალათს ხელი უნდა ეკრა. მაგრამ ეხლა კი დავძარ ენა.

— მოითმინეთ, მოითმინეთ, ღმრთის გულისათვის!—დავიძახე, რაც ძალი და ღონე მქონდა. კლეიტონი უდანაშაულოა. მოდით და თქვენ თითონა ჰნახეთ! შჩეპანიკი ცოცხალია!

ორის წუთის შემდეგ გუბერნატორი ჩემს ადგილას იდგა ფანჯარასთან. კიდევ ერთის წუთის შემდეგ ბრძანება გასცა:

— გაუხსენით ხელები და გაანთავისუფლეთ.

კიდევ სამის წუთის შემდეგ ყველანი სასტუმრო ოთახში შევიკრიბენით. არ შემიძლიან იმის აღწერა, რაც იქ მოხდა. მკითხველი თითონ წარმოიდგენს. საერთო სიხარულს დასასრული არა ჰქონდა.

ყველანი სათითაოდ შევსცქეროდით ტელელექტროსკოპის მანქანას და ვნახეთ, როგორ მივიდა სადგურიდგან გაგზავნილი კაცი შჩეპანიკთან, რა მწუხარებითა და ყურადღებით უსმენდა ამ კაცს შჩეპანიკი და მერე როგორ გამოეშურა თითონ სადგურისაკენ. კიდევ ერთის წუთის შემდეგ შჩეპანიკი უკვე ელაპარაკებოდა გუბერნატორსა და კლეიტონს. სიკვდილიდგან გადარჩენილის კლეიტონის გახარებულმა ცოლმა, თვრამეტის ათასის ვერსის მანძილზე შჩეპანიკს ტელეფონით გაუგზავნა გულ-წრფელი და ნაზი კოცნა.

მთელის ქვეყნის ტელელექტროსკოპები გაცხარებულ მუშაობაში არიან ეხლა: მეფენი, მეცნიერნი და საზოგადო და კერძო დაწესებულებათა წარმომადგენელნი ულოცავენ შჩეპანიკს და უგზავნიან სალამს.

როგორ გაჰქრა შჩეპანიკი ამ ორის წლის წინად ჩიკაგოდგან და სად იმალებოდა ამდენ ხანს? ამის პასუხი ძნელი არ არის. შჩეპანიკი ჩვეული არ იყო მთელის ქვეყნისაგან პატივისცემას, მოსწყინდა ინტერვიუერებისა (რა ოხერი სიტყვაა, კაცი ენას მოიტეხავს) და რეპორტერების ნახვა, რომელნიც უშლიდნენ მუშაობას, გადასწყვიტა გასცილდეს საზოგადოებას, წვერი დაიყენა, გაიკეთა შავი სათვალეები, გამოიცვალა ტანთ საცმელი, დაირქვა სხვა სახელი და ისე დადიოდა ყველგან, რომ ვერავინა სცნობდა.

ამ გვარად 1898 წლის გაზაფხულზე ვენაში მომხდარი უსიამოვნება ცოტას გასწყდა ტრაგედიით არ დასრულდა.

მარკ ტვენი

ჩიკაგო, 5 აპრილი 1904 წ.

დღეს, ელექტრონის გემითა და შემდეგ ელექტრონის რკინის გზით მოვიდა აქ ევროპიდგან კაპიტანის კლეიტონის სახელობაზედ ამანათი, რომელიც ერთს შავს ფარსინგს წარმოადგენდა.

კლეიტონი ამ ფარსინგმა ძლიერ გაახარა. გამოუძახა ტელეფონით ბატონს კ—ს, რომელიც იმ დროს ვენაში იყო და უთხრა:

— რაღა უნდა მოგახსენოთ. თქვენ თითონ წარმოიდგენთ, რა გრძნობით უნდა იყოს ეხლა გამსჭვალული ჩემი გული. ფარსინგი ჩემს ცოლს გადავეცი. დარწმუნებულნი ბძანდებოდეთ, რომ არ დაჰკარგავს.

მ. ტ.

ჩიკაგო, 23 აპრილი 1909 წ.

ეხლა, როდესაც კლეიტონის საქმის განხილვა უკვე დასრულდა, ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებთ. ჩემის მეგობრის გადარჩენამ აქ საერთო სიხარული გამოიწვია. ცხრა დღეს ერის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. მერე კი საქმე ისევ მოტრიალდა. დარბაისელმა კაცებმა ლაპარაკი დაიწყეს, მართალია, შჩეპანიკი ცოცხალია, მაგრამ ვიღაც კაცი ხომ მაინც მოკლულ იქმნა და დანაშაულმა უსასჯელოდ არ უნდა ჩაიაროსო.

ეს აზრი გავრცელდა ხალხში და საზოგადოებამ მოითხოვა კლეიტონის ხელ-მეორედ განსამართლება. მიჰმართეს შესაფერს ღონისძიებას, ესე იგი საქმე მოახსენეს პრეზიდენტს, რადგანაც 1899 წელს დამტკიცებულ კონსტიტუციის ძალით საქმის ხელმეორედ განხილვის უფლება მინიჭებული აქვს ცალკე შტატის სასამართლოს კი არა, არამედ უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებას. ამ სახელმწიფო სასამართლოს განყოფილება მოვიდა ჩიკაგოს. საქმის განხილვა მოხდა გუშინ წინ. დაესწრო ცხრა მოსამართლე. ყველანი შავის წამოსასხამებით იყვნენ. თავმჯდომარეობდა სასამართლოს პრეზიდენტი ლემეტრი.

ლემეტრმა ასე დაიწყო ლაპარაკი:

— ჩემის აზრით, ამ საქმის გადაწყვეტა ძლიერ ადვილია. კლეიტონს ბრალი დაედო შჩეპანიკის მოკვლისა. კანონიერმა სასამართლომ კანონიერად მიუსაჯა ამ დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა. ხოლო ისე მოხდა, რომ შჩეპანიკი ცოცხალი აღმოჩნდა. მაგრამ, ამ გარემოებას, ჩემის აზრით, სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: დრეიფუსის საქმეში საფრანგეთის სასამართლომ შეურყევლად დაამტკიცა, რომ კანონიერი განაჩენი, კანონიერის სასამართლოს მიერ დადგენილი, ვერც გაუქმდება, ვერც შეიცვლება და ვერც საქმე ხელ-მეორედ იქმნება განხილული. ჩვენ ვალდებულნი ვართ პატივისცემით მოვეპყრათ ამ მაგალითს და აგრეთვე კანონის მიერ შეწყნარებულ სხვა მაგალითებსაც, ვინაიდგან მაგალითებზე არს დამყარებული დიადი ტაძარი კაცობრიობის მართლ მსაჯულებისა. სასამართლომ დიახაც კანონიერად და სამართლიანად მიუსაჯა სიკვდილით დასჯა კლეიტონს შჩეპანიკის საქმის გამო და ამიტომ, ჩემის აზრით, სრულებით არ არის საჭირო არც საქმის ხელ-მეორედ განხილვა და არც განაჩენის გაუქმება.

— მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ,—შენიშნა მსაჯულმა კრაფორდმა,—კლეიტონი პატიებულ იქმნა მაგ დანაშაულისათვის იმ დროს, სარჩობელაზედ რომ აიყვანეს.

— ამ შემთხვევაში პატიება სახ-

ერთა დამხმარებელი კასსა სამრეველო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის.

◆◆

უცხოეთი

—

გერმანია. რეიხსტაგის კრებაზედ, 31 დეკემბერს, პირველად იქმნა წაკითხული ახალი სამხედრო კანონ პროექტი. კრებას, დეპუტატებს გარდა, აუარებელი ხალხი დაესწრო, მომეტებულ ნაწილად სამხედრო წოდებისანი. კრების გახსნისათანავე სამხედრო მინისტრმა გოსლერმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელმაც, ზოგიერთ გაზეთების სიტყვით, დიდი გავლენა იქონია როგორც პარლამენტზე, ისე გარეშე მაყურებლებზედაც.

რუსეთის ხელმწიფის მანიფესტიო, სთქვა სხვათა შორის გოსლერმა, იმის მომასწავებელია, რომ იმ მხრიდგან თავს დასხმის შიში ჯერ-ჯერობით არ უნდა გვქონდესო. ამ გარემოების წყალობით ჩვენი სამხედრო-პოლიტიკური დამოკიდებულება არსებითად იცვლებაო. მეორეს მხრივ, გერმანიის სამხედრო ძლიერებამ იქამდე მიაღწია, რომ არავერის შიში არ უნდა გვქონდეს და სრულებით გულდამშვიდებით უნდა უცქერდეთ მომავალსო. ეს ხომ ასეა, მაგრამ მაინც საჭიროა თუ არა მხედრობის გაძლიერებაო? იკითხა მინისტრმა. ყოველივე დაწესებულებასო, განაგრძო მან, რაც უნდა კარგი იყვეს, ნაკლულევანებაც აქვს და რაც უფრო ვრცელია ეს დაწესებულება, მით უფრო მომეტებული ზეგავლენა აქვს მაზედ ტეხნიკის განკარგებას, რომელიც თავისს მხრივ გაუმჯობესობას თხოულობსო. ამერიკა-ესპანიის ომმა დაგვიმტკიცა, რომ ის სახელმწიფო, რომელიც ტეხნიკის გაუმჯობესობას ყურადღებას არ აქცევს, შესაბრალისს მდგომარეობაში ჩავარდებაო. იმის წყალობით მოვახერხეთ მშვიდობიანობის დაცვა ამდენის ხნის განმავლობაში, რომ ჩვენი მხედრობა აქამდისინ ასეთს ძალას წარმოადგენდაო. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ შემდეგშიაც ასევე დავიცავთ მშვიდობიანობას, თუ ვეცდებით ჩვენის მხედრობის გაუმჯობესობასო.

ამის გამო მინისტრი თხოულობს ჯარის სხვა და სხვა ნაწილის გაძლიერებას. მისის სიტყვით, არც ერთს სახელმწიფოს არ შეუწყვეტია მხედრობის გაძლიერება, და გერმანიასაც არ შეუძლიან თავისს სამხედრო ძლიერების მაღალ საფეხურიდგან დაბლა დაიწიოს. ამის მიხედვით, სამხედრო მინისტრი, წოდებს რა რეიხსტაგს ახალ კანონ-პროექტს, თხოულობს: მოემატოს ჯარს კიდევ 27,000 კაცი, დაარსებულ იქმნას პრუსიასა, ბავარიასა და საქსონიაში თითო-თითო კორპუსის შტაბი, დაარსებულ იქმნას პრუსიაში სამი დივიზიის შტაბი და თითო თითო ბავარიასა და საქსონიაში, და ამასთანავე ზოგიერთ საომარ იარაღის ნაცვლად შემოღებულ იქმნას გაუმჯობესებული იარაღი. დასასრულ მინისტრმა გამოსთქვა სურვილი კანონ-პროექტი რეიხსტაგმა გადასცეს განსახილველად განსაკუთრებულს კომისიას.

—

საფრანგეთი. კნე დე-ბორეპერი თანამშრომლად მიუწვევია ,,Echo de paris‘‘-ის რედაქციას და 50,000 ფრანკს შეჰპირებია სასყიდლად. ამ გაზეთში ბორეპერს მეორე წერილიც დაუბეჭდია, რომელშიაც სასტიკად ჰკიცხავს საკასაციო პალატის თავჯდომარეს დეკს და ამავე პალატის წევრს ბარდს. ზოგიერთ გაზეთის სიტყვით, ბორეპერის წერილი ერთობ უსაბუთოა და წვრილმან შემთხვევებზედ დამყარებული, რომელთაც არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საქმისათვის. ამიტომ, როგორც გაზეთები ჰფიქრობენ, ეს წერილი თითონვე ბორეპერს უფრო უტეხს სახელს, ვინემ დეკსა, ბარდსა და მანოს, რომელთა დამცირებაც მას უნდოდა.

ბორეპერს წინაზედ უფროს ბრალმდებლის ადგილი სჭერია და შემდეგ დაუნიშნავთ საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო ნაწილის თავჯდომარედ. ეს ახალი თანამდებობა მისს ამაღლებას როდი მოასწავებდა; პირიქით, რამდენიმედ დასჯაც იყო ეს მისთვის. ბორეპერის შესახებ ასეთი საქციელი მთავრობის მხრივ იმ გარემოებას გამოუწვევია, რომ პანამის საქმეში დამნაშავეთა შესახებ ის ერთობ ჰკვეხნობდა, რამაც ოპოზიცია ერთობ ააღელვა, და მთავრობამ გარდასწყვიტა გაეწია ბორეპერი.

ნაციონალისტებს გარდაუწყვეტიათ თავისს კანდიდატად გამოიყვანონ ბორეპერი და ადვილი შესაძლებელია, იმან ჩქარა ადგილი დაიჭიროს დეპუტატთა პალატაში დერულედთან და მილვუასთან, რომელთა წინააღმდეგაც ის იბრძოდა ბულანჟეს საქმის დროს.

◆

დამაკვირდი

წიგნებთა კეთილთა სიმრავლე განანათლებს საზოგადოებასა.

იონა მონაზონი

* * *

ბრძენი არაოდეს ერწმუნების მხოლოდ ოდენ ჭკუასა თვისსა, არამედ განიხილავს რჩევასა მეგობრისა თვისისასა.

გიორგი ჯანთიშელი

* * *

კეთილთა კაცთა მიაგავდი კეთილსა ხოლო ბოროტთა სულგრძელებით შეიმენდ.

ნიკოლოოზ ტფილელი

◆◆

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ჩინეთის იმპერატრიცამ უბძანა ორს სეფექალს: შეისწავლეთ გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, რომ შეგეძლოთ ევროპიელებთან თარჯიმნობა გამიწიოთ და თარჯიმანი მამაკაცნი აღარ იყოს საჭიროვო. ამბობენ აგრეთვე, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის პრინცის ჩუნგის მეუღლე თითონ მივა სადარბაზოდ ევროპიელ ქალებთან და იმისი ქმარიც სადარბაზოდ მივა უცხოეთის ელჩებთანაო.

მას შემდეგ, რაც ჩინეთის იმპერატრიცამ მიიღო სასახლეში სადარბაზოდ მისულნი ევროპიელი ქალები, ჩინელები ამ ქალებს დიდს პატივსა სცემენ.

* * *

გრისფელდში შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა. ადგილობრივი ახალგაზდა პასტორი ძლიერ ავად გახდა. ავადმყოფს გულმოდგინედ უვლიდა ერთი ახალგაზდა ქალი. პასტორი განიკურნა და იმასა და ქალს ერთმანერთი შეუყვარდათ. პასტორმა გადასწყვიტა ამ ქალის ცოლად შერთვა, თუმცა ქალი გამოუტყდა, ერთმა საძაგელმა კაცმა შემაცდინა და პატივი ამხადაო. ამ ქალის ამბავი მრევლმა კარგად იცოდა და ყველანი ძლიერ აღელდნენ, როდესაც შეიტყეს, პასტორი ამ ქალს ცოლად ირთავსო. რათა პასტორისათვის ეს დიდი ცოდვა აეცილებინათ, ყოველივე დაწვრილებით შეატყობინეს სასულიერო მთავრობას. მთავრობამ უბძანა პასტორს, ან შენს თანამდებობასა და წოდებაზე უარი განაცხადე, ან ეგ ქალი ცოლად არ შეირთოვო. პასტორმა ვეღარ გაუძლო მოვალეობისა და სიყვარულის გრძნობათა ჭიდილს და თავი მოიკლა.

* * *

ბელგრადის სასამართლოში მივიდა ერთი გლეხი და თხოვნა მიართვა. გლეხი თურმე სასამართლოსა სთხოვდა სიკვდილით დამსაჯეთო. მსაჯულთ ძლიერ გაუკვირდათ ეს თხოვნა და გლეხი ჭკუაზე შეშლილი ეგონათ. მაგრამ საქმე მალე გამოირკვა. გლეხმა მოახსენა მსაჯულთ, ძლიერ ღარიბ-ღატაკი ვარ, მეტად ვიტანჯები, თავის მოკვლა მინდა, მაგრამ ვერ გამიბედნია ეს ცოდვა ჩავიდინო და ჩემის ხელით სიცოცხლე მოვისპოვო და ამიტომ გთხოვთ, თქვენ დამსაჯეთ სიკვდილითაო. მსაჯულებმა უთხრეს გლეხს, უდანაშაულო კაცს ვერ დავსჯითო, მერე თავიანთ შორის ფული შეაგროვეს და მისცეს გლეხს. გლეხი მეტად კმაყოფილი დაბრუნდა თავისს სახლში.

◆◆

დეპეშა

7 იანვარი

ბათუმი. ქალაქის საბჭომ იმ აზრით, რომ ბათუმის, როგორც სამკურნალო სადგურის, განვითარებას ხელი შეუწყოს, დაადგინა გამოიხმოს მსურველნი ქალაქის ბაღში დიდის კურზალის გასამართავად სამკითხველოსა და საკონცერტო დარბაზით.

ჰელსინგფორსი. დღეს, სენატის თანადასწრებით, იმპერატორის სასახლეში ფიცი მიიღო ლანდმარშალმა და სხვა წარჩინებულმა კაცმა. შაბათს ასეთსავე ფიცს მიიღებენ მოქალაქეთა და გლეხთა წარმომადგენელნი. ოფიციალურად სეიმი სამშაბათს დაიწყებს მოქმედებას.

პარიჟი. როგორც „Gaulois“-ი იუწყება, სისხლის სამართლის პალატა რამდენიმე დღეა გულ-მოდგინედ შეუდგა იმ ამბის გამოკვლევას, რომ დრეიფუსი ბრიუსელში ყოფილა და რამდენსამე უცხო-ქვეყნის სამხედრო აგენტთან მოლაპარაკება ჰქონიაო.

ვალბერგამბტონი. ჩემბერლენმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა ფაშოდის საქმის სასურველად დაბოლოვება. ,,ინგლისის ერს, — სთქვა იმან, — შეუძლიან აღასრულოს საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა სურვილი და მეგობრულად გადასწყვიტოს დანარჩენი საკამათო საგნები. საქმეები მადაგასკარისა და ნიუფაუნდლენდის შესახებ ჯერ არ არის გარდაწყვეტილი, ინგლისის მთავრობა ჰფიქრობს, რომ პირველის საკითხის შესახებ საქმე მუხთლობის შედეგია. მეორეს შესახებ მას არა სურს გადაუხვიოს უტრეხტის ზავის პირობებს, — პირ იქით, მასა ჰსურს დაიცვას ის უფლებანი, რომელნიც საფრანგეთს მიენიჭა, ან თუ ეს უფლებანი გაუქმებულ იქმნება, შესაფერად დააჯილდოვოს იგი“-ო.

8 იანვარი

პარიჟი. სენატი. მემარჯვენეთა დასის წევრი შამილვარდი ჩივის იმის გამო, რომ ასე აგვიანებენ პიკარის სამართალში მიცემას და ჰკიცხავს საკასაციო პალატას პიკარის მხარე გიჭირავსო. მეორე წევრი მემარჯვენეთა, დელონე ლაპარაკობს ბორეპერის საქმის შესახებ და ჰკიცხავს საკასაციო პალატას.

მადრიდი. სევილიაში მოვი- გემი „მირალდო“ და თან მოიტან კოლუმბის ნეშთი. მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით გარდახდილ იქმნა წირვა ტაძარში, სადაც იქმნება კუბო ძეგლის აგებამდე.

მასსოვა. ის ცნობები, რომ მაკონენმა და მანგაშმა ზავი შეჰყრესო, მართლდება. ზავის პირობები არავინ იცის, მაგრამ როგორც სჩანს, უტყუარია, რომ უფლება ტიგრეზედ მაკონენის ხელში გადადის.

მადრიდი. რიოსი იუწყება დეპეშით, რომ მანილიაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, მაგრამ ამბოხება გაჩაღებულიაო.

პარიჟი. პირველი კრება ჰქონდა „საფრანგეთის მამულიშვილთა ლიგას“, რომელიც დაარსებულია გამოჩენილ ლიტერატორების მიერ, დრეიფუსის საქმის გამო, ქვეყნის დასამშვიდებლად. 1500 კაცი დაესწრო, იმათ რიცხვში კავენიაკიც და საფრანგეთის აკადემიის რამდენიმე წევრი. ჟიულ ლემეტრმა სიტყვა წარმოსთქვა; რომელშიდაც სასტიკად ჰკიცხავდა ჯარის წინააღმდეგ მომართულს ქადაგებას და თავის თავი აღიარა იმის მომხრედ, რომ საკასაციო პალატის პროცესი გადასინჯულ იქმნას მთელის კრებულის მიერ, რადგან ის ეჭვი, რომელიც დაჰბადა სისხლის სამართლის პალატამ, ხელს შეუშლის ქვეყნის დამშვიდების საქმესო. ლემეტრმა მოახსენა კრებას ლიგის პროგრამა: გააღვიძონ სიყვარული მამულისადმი; მიახწიონ იმას, რომ ყველა ფრანგს ერთმანეთი უყვარდეს და მხარს აძლევდეს; დააარსონ კომიტეტები პროვინციებში.

პარიჟი. სენატი. ლებრე იხსენიებს სახელმწიფოს უფლებათა განყობას და ამბობს, რომ მთავრობის ჩარევა საქმეში მხოლოდ გააძლიერებს უსიამოვნებას და თან დასძენს, რომ საკასაციო პალატას არავითარი დანაშაული არ მიუძღვის საქმის გაჭიანურებაშიო. მთავრობამ უნდა ჩამოითმინოს, ვიდრე საქმე გადასწყდება. მინისტრი იმ აზრისაა, რომ ბორეპერმა სამსახურს იმიტომ დაანება თავი, რომ ასე ეგონა, პატივის ცემით არ მეპყრობოდნენო. მინისტრი იძულებულ იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა, რადგანაც ამაზედ უფრო მხნე საქციელი აღელვებას განაძლიერებდა. დასასრულ ლებრე ამბობს, დროა გავათავოთ ეს საქმეო და პატივი ვსცეთ მთავრობის უფლებათა განაწილებასაო. ლედემ წარადგინა ფორმულა, რომლითაც მოწონებულ უნდა იქმნას მთავრობის დეკლორაცია და რომელშიაც მოხსენებულია პატივისცემა ამ პრინციპისა. ლებრეს მიერ შეწყნარებული ფორმულა პალატამ მიიღო 212 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 28 ხმისა.

◆◆

...ში მისაღები არ არის, ვინაიდგან შეეხებოდა იმ კაცის მოკვლას, რომელიც ბრალდებულს არაოდეს არ მოუკლავს. ყოვლად შეუძლებელია პატიება იმ დანაშაულისათვის, რომელიც კაცს არ ჩაუდენია; ეს ხომ მტკნარი უაზრობა იქმნებოდა.

— მაგრამ, თქვენო აღმატებულებავ, ამბობენ, რომ ბრალდებულმა ხომ მაინც მოჰკლა კაციო.

— ეგ სულ სხვა საქმეა, რომელსაც ჩვენ ვერ შევეხებით. შეუძლებელია კაცი გავასამართლოთ ახალის ბრალდების გამო, როდესაც ძველის დანაშაულისათვის გარდაწყვეტილი სასჯელი ჯერ არ აგვისრულებია.

— თუ დავადგინეთ ამ განაჩენის ასრულება, თქვენო აღმატებულებავ, — სთქვა მსაჯულმა ჰალლერმა, — ამით შეიძლება მართლ-მსაჯულებას აბრუ გავუტეხოთ, რადგანაც გუბერნატორი კვლავ აპატიებს დამნაშავეს.

— გუბერნატორს არა აქვს უფლება პატიებისა. მას არ შეუძლიან აპატიოს დანაშაული იმ კაცს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. აკი მოგახსენეთ, ეს მტკნარი უაზრობა იქმნებოდა.

ცოტა ხნის ბჭობის შემდეგ მოსამართლემ უადსვორსმა სთქვა:

თქვენო აღმატებულებავ, ზოგიერთნი ჩვენგანი იმ აზრისანი არიან, რომ შეცდომა იქმნება კლეიტონის ჩამორჩობა შჩეპანიკის მოკვლისათვის, ვინაიდგან ეს მკვლელობა არ არის დამტკიცებული.

— პირიქით, შჩეპანიკის მოკვლა სრულიად დამტკიცებულ იქმნა კლეიტონის საქმის განხილვის დროს. საფრანგეთის სასამართლოს მაგალითი გვავალებს ვიხელმძღვანელოთ კანონიერად შემდგარ განაჩენით.

— მაგრამ შჩეპანიკი რომ არ არის მოკლული? იგი ეხლაც ცოცხალია.

— მართალია, მაგრამ კანონიერად შემდგარი განაჩენიც ხომ გაუქმებული არ არის. იგი ეხლაც არსებობს.

დასასრულ სასამართლომ გადასწყვიტა, რომ მაგალითებს პატივის ცემით უნდა მოპყრობა, საქმე ხელმეორედ აღარ განიხილა და უწინდელის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა. მთელი ერი აღელდა და თხოულობდა ან საქმის ხელ მეორედ განხილვას ან კლეიტონის პატიებას. გუბერნატორმა აპატია კიდეც კლეიტონს, მაგრამ უმაღლესმა სასამართლომ განაცხადა, გუბერნატორს არა აქვს უფლება იმ დამნაშავეთა პატიებისა, რომელთაც სახელმწიფო სასამართლომ სასჯელი მიუსაჯა, და საბრალო კლეიტონი გუშინ ჩამოარჩვეს...

ამ ჟამად მთელი ქალაქი და იქნება მთელი ერიც მგლოვიარედ არის. ამერიკელნი სწყევლიან „საფრანგეთის მართლ-მსაჯულებას“ და იმ ბოროტგამზრახველ კაცებს, რომელთაც ეს მართლ-მსაჯულება შემოიღეს და მთელს ქვეყანას მოახვიეს.

მარკ ტვენი

ა. ნ.

◆

озволено цензурою, Тифлисъ 8 го Января 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე